

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

2011 წლის 26 ოქტომბერი

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესი, თანახმად დანართისა.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ლ. კონჯარია**

შეტანილი ცვლილებები:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №38-ვებგვერდი, 12.12.2011წ.

დანართი №1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესი

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს და აწესრიგებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურში მოსამსახურეების მიერ სამსახურის გავლის წესს, მათ უფლებებს და მოვალეობებს.

თავი I

ზოგადი დებულება

მუხლი 1. სამართლებრივი საფუძვლები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონების „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციების რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 2. საგანგებო სიტუაციების სამსახური

საგანგებო სიტუაციების სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საზღვრებში სახანძრო უსაფრთხოების, ხანძრების, ავარიების, სტიქიური უბედურების და სხვა საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციას, ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებას.

მუხლი 3. მოსამსახურეების უფლებები და მოვალეობები

1. სამსახურში მოსამსახურეები სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით, ამ წესით განსაზღვრული უფლებებით და მოვალეობებით.

2. სამსახურში მოსამსახურეებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იცავს კანონი. მოსამსახურე ემორჩილება თავის უშუალო და ზემდგომ უფროსს.

3. უკანონო ბრძანების ან მითითების შესრულება მოსამსახურეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

4. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მოსამსახურე სარგებლობს დადგენილი ფორმის ტანსაცმელით, რომელიც ეძლევა უფასოდ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნორმის ფარგლებში.

5. მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონის შესაბამისად.

6. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მოსამსახურეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

7. სამსახურის საქმიანობის ორგანიზებას, დაგეგმვას, მუშაობის წესს, ფორმებს და მეთოდებს, განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, ხოლო მოსამსახურეთა ფუნქციონალურ მოვალეობებს გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სამსახურის საშტატო რიცხოვნება განისაზღვრება საშტატო ნუსხით, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №38- ვებგვერდი, 12.12.2011წ.

მუხლი 4. მოსამსახურეთა პროფესიული მომზადება

1. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტების მიზნით ხორციელდება მოსამსახურეთა მომზადება, რომელშიც შედის:

ა) უმცროს მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის მომზადება (მათ შორის, ახლად მიღებული მეხანძრე-მაშველების და მძღოლების სპეციალური დაწყებითი მომზადება);

ბ) უფროს და საშუალო მეთაურთა სამსახურებრივი მომზადება.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საგანგებო სიტუაციების ძალების სწავლებას, მომზადებას და გადამზადებას.

თავი II

სამსახურში მოსამსახურეთა მიღება და მათი გადაადგილება

მუხლი.5 მოსამსახურეთა მიღების წესი

1. საგანგებო სიტუაციების სამსახურში სამუშაოდ მიიღებიან 18-დან 35-წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ არანაკლებ საბაზო ზოგადი განათლება, ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა აძლევთ საშუალებას შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მეხანძრე-მაშველის თანამდებობაზე შეიძლება მიღებულ იქნეს მოქალაქე, რომლის ასაკი აღემატება 35 წელს.

2. საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი თანამდებობაზე ინიშნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, სამსახურის პირადი შემადგენლობის მიღება და დაკომპლექტება ხორციელდება გამგებელთან შეთანხმებით უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საგანგებო სიტუაციების სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი:

ა) ნასამართლევა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

ბ) იმყოფება წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედითუუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამრთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად, მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თუ დაკავებული თანამდებობა უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) (ამოღებულია - 07.12.11, №38)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №38- ვებგვერდი, 12.12.2011წ.

მუხლი 6. მოსამსახურეთა თანამდებობრივი გადაადგილება

1. მოსამსახურეთა თანამდებობრივი გადაადგილება ხდება:

ა) ზემდგომ თანამდებობაზე, სამსახურებრივი დაწინაურებით და დასაწინაურებელ მოსამსახურესთან შეთანხმების საფუძველზე;

ბ) თანაბარ თანამდებობაზე, მოსამსახურის თანხმობით სხვა ვაკანტურ თანამდებობათა აუცილებელი დაკომპლექტების ან მეთაურთა შემადგენლობის პირადი თვისებების ცოდნის, მომზადების და გამოცდილების მიზანმიმართული გამოყენებისათვის;

გ) დაბალ თანამდებობაზე, შტატების შემცირებისას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად, პირადი თხოვნით, დადებული სასჯელის საფუძველზე;

დ) სასწავლებელში ჩარიცხვის ან სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თანამდებობაზე დანიშვნის დროს.

2. თანამდებობრივი გადაადგილება უნდა მოხდეს მოსამსახურის ძირითადი ან მონათესავე სპეციალობის გამოცდილების გათვალისწინებით, პირის სხვა სპეციალობით დანიშვნას, როგორც წესი, უნდა უძღვოდეს მისი შესაბამისი გადამზადება.

თავი III

სამსახურებრივი დისციპლინა

მუხლი 7. სამსახურებრივი დისციპლინა

სამსახურებრივი დისციპლინა ნიშნავს მოსამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, სამსახურის პირობების, აგრეთვე უფლებამოსილი თანამდებობის პირების ბრძანებების, უშუალო და ზემდგომი უფროსის მითითებების, მასზედ დაკისრებული მოვალეობებისა და უფლებამოსილების შესრულებას.

მუხლი 8. სამსახურის უფროსის მოვალეობა სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცების საქმეში

1. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია მოსამსახურეების სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობაზე, იგი ვალდებულია:

ა) შექმნას შრომის, დასვენების, სამსახურის ტარების, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო პირობები;

ბ) უზრუნველყოს საჯაროობა და ობიექტურობა სამსახურებრივი საქმიანობის შეფასებაში;

გ) პატივი სცეს სამსახურს და მოსამსახურის პირად ღირსებას.

მუხლი 9. წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების წესი

1. წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების თაობაზე სამსახურის უფროსი მიმართავს შუამდგომლობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლს, რომელიც, თავის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებას მოსამსახურის წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

2. წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობა ცხადდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

3. წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე მოსამსახურეებს ეცნობება პირადად, მწყობრის წინ ან თათბირზე. დისციპლინური პასუხისმგებლობის დადებამდე მოსამსახურეს უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება.

4. დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების ფორმის გამოყენება აღინიშნება პირად საქმეში შეტანით.

5. თუ მოხელეს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

თავი IV

სამსახურის გავლის პირობები

მუხლი 10. სამუშაო დროის ხანგრძლივობა

1. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მოსამსახურეებისათვის დადგენილია 40-საათიანი სამუშაო კვირა და ზოგიერთი კატეგორიის მოხელისათვის ზეგანაკვეთური სამუშაო.

2. ცვლებში მომუშავე მოხელეებისათვის დგინდება ერთიანი ხანგრძლივობის სამუშაო დრო (მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო) ცვლების განრიგის მიხედვით.

მუხლი 11. მოსამსახურეთა შვებულება

მოსამსახურეთა შვებულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

თავი V

სამსახურიდან გათავისუფლება და საპენსიო უზრუნველყოფა

მუხლი 12. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლება ხორციელდება საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 13. სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსამსახურეთა ზღვრული ასაკი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI

მოსამსახურეთა ფულადი ანაზღაურება, შეღავათები და გარანტიები

მუხლი 14. მოსამსახურეთა ფულადი ანაზღაურება

1. სამსახურში მოსამსახურეები იღებენ ანაზღაურებას, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი რანგისათვის გათვალისწინებულ განაკვეთს, დანამატს სამსახურის რთული, დამაბული და სპეციალური რეჟიმის პირობებისათვის, ანაზღაურებას ზეგანაკვეთური მუშაობისათვის.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურეთათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სრული მოცულობით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

3. ნებისმიერი ფულადი ანაზღაურება მოსამსახურეთათვის ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. შეღავათები და გარანტიები

1. მოსამსახურის დალუპვის ან დასახიჩრების შემთხვევაში საკომპენსაციო თანხით ანაზღაურება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მოსამსახურე, რომელიც სამსახურებრივ საქმიანობაში იყენებს პირად სატრანსპორტო საშუალებას, მისი შენახვის და საწვავ-საპოხი მასალების ხარჯების დადგენა და ანაზღაურება წარმოებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VII

მუხლი 16. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.